

შაბათი, 20 თებერვალი
№ 8 - 1916

ფ ა ს ი
 10 კ.

წელიწადი
მ ე ო თ ხ ე

მოდის ხელის მოწერა 1916 წ. შუბ.
 "თეატრი და სპექტაკლი"
 (წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-2 გვ.)



თედო სახოკია

ციმბირიდან გაქრული, შარბში ცხოვრობდა. მთაწერობამ ნება დართო საქს. რთველში დაბრუნდეს.

უკვე იბეჭდება
ვეკლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უსსო სიყვანთა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორედ შეესწავლ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნი ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ხალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩამული ინგლისურ საუკეთესო კალიგრაფის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი ამოსვლის ეამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან. 50 კა.)

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ იოს. იმედაშვილი.

1916 მიწვევა ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარსის სურათებიანი ჟურნალი იუზორისტული განყოფილებით, შარყებით და კარიკატურებით

წელიწადი
მართხა

„თეატრი და ცხოვრება“

წელიწადი გამოსცემისა მართხა

1916 წელსაც გამოვა

წლიწად
5 მან.
ნახ. წლ.
8 მან.

ჩვეულებრივი სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმძღვანელო და ახალგაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესული მიმართულებისა ჟურნალში ხუთიდანამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილოდაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მაისში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მალათოვის კუნძ. № 1, ვორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—Иос. Имедашвили. ტელეფონი № 15—41.

რედაქტორ-გამომგებელი ანნა იმედაშვილის



№ 8

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тиф-ლისь, Ред. „Театри да Цховреба“ I. Име-дашвили.

ფილიფალი
8 მ თხე

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდე-ბა.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შეს-წორდება.—რედაქტორთან პირისპირ მო-ლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

20 თებერვალი

ახალი თეატრი ქუთათურებს დიდი საეროვნო საქმის გაკეთება განუზრახავთ—ახალი თეატრის აშენება!

ძლივს საყოველთაოდ ცხად ქმნილა, რომ იმ შენობაში, რომელსაც „თეატრი“ ეწოდება, არ შეიძლება ცოტად თუ ბევრად რიგიანი წარმოდგენების მართვა.

და რაკი ეს ცხად იქმნა, ქუთათური მოწინავე საზოგადოება ფიქრობს ააშენოს ახალი თეატრი, ახალი არა მხოლოდ სხეულით, არამედ სულითაც, თუ შეიძლება ასე ითქვას...

გაზ. „მეგობარმა“ ამ საგანს რავედნიმე საყურადღებო წერილი უძღვნა. წერილთა ავტორი არკვევენ, როგორი თეატრი უნდა აშენდეს, რა სახსრით, და, სხვათა შორის მოითხოვენ „მივმართოთ საზოგადოებას დაგვეხმაროს და თავისი წვლილის გამოღებით ხელი შევვიწყოს საქმის განხორციელებაში“-ო. (ა. მ. კრინიციკის მოხსენება „მეგ.“ № 109).

განზრახვა და მოწოდებაც ფრიად საგულისხმოა და, იმედია, ყურად იღებენ, ვის გულსაც ატოკებს სამშობლო ხელოვნების წინსვლა...

ზედმეტია, გავარკვიოთ, თუ რა დიდი კულტურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ერის აღორძინებაში ხელოვნების ტაძარს—თეატრს, ჩვენი საზოგადოება იმდენად მომწიფებულია, რომ მისი საჭიროება ნათლად აქვს გათვალისწინებული...

ვისურვოთ მხოლოდ, რომ ქუთათის თეატრის აშენებას სათავეში ხალისიანი, საქმის მკოდნე-მოყვარულნი ჩაუდგნენ, მონაწილედ

გაიხადონ საქალაქო და საფინანსო დაწესებულებანი და, რაც შეიძლება, დროით ააშენონ ახალი თეატრი, რომ ნაყოფიც ნაადრევი მიიღონ: ქართული ხელოვნების წინსვლის გზა გააპოხიერონ და მის ქურუმთა გვემასაც საზღვარი დაუდონ...

ვაჭირვების ტალკვესნი

ბომ გაგიგონიათ გაჭირვების ტალკვესი? და სწორედ ასეთი ტალ-

კვესნი გახლავან შალვა დადიანი, ქუთათისის წლევედელი სეზონის მწარმოებელი, და იუზა ზარდალიშვილი, ბაქოს წრის რეჟისორად მიწვეული...



შალვა დადიანი

წელს ქუთათისი იქნება სისტემატიურ წარმოდგენებს არც კი ღირსებოდა, რომ შ დადიანს თავი არ გამოეღვა და საქმე არ ეკისრნა...

ქუთათისის დასის მესვეურ-რეჟისორი.

ჩვენი საზოგადოება იცნობს მას, როგორც მწერალს, საზოგადო მოღვაწესა და ქართული სცენის დაუღალავ მუშაკს... თითქმის ოცი წელიწადია რაც იგი სამშობლო სცენასა და მწერლობას ემსახურება მცირედი სახსრით, მაგრამ დიდი გულით, უსახლდრო სიყვარულით...

და, აი, დღეს, შაბათს, 20 თებერვალს ქუთათისის თეატრში მიიი ბენეფისი—მსახიობის

სადღესასწაულო წარმოდგენა (უგადაკრილი მუხა) იმართება...

ქუთათურებმა დღეს უნდა გამოიჩინონ, რადგან აღფასებენ თვისი სულიერ საზრდოს მიმწოდებელ მუშაკს...

არა ნაკლებ ყურადღების ღირსია მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომელიც წელს



ბაქოს დრამ. წრემ თითქმის სეზონის დასაწყისშივე მიიწვია რეჟისორად, რადგან აღრე მიწვეული ჩვენი ნიქიერი მწერალ-რეჟისორი, ვ. შალიკაშვილი, ავადმყოფობის გამო სოხუმს გაიგზავნა საბაქოს წრის რეჟისორი მკურნალოდ. ი. ზარდალიშვილი დღემდე განსაკუთრებით მსახიობად იყო ცნობილი, მაგრამ მოიცალა ასპარეზი და იგ-ც, შეძლებისა და გვარად, პირნათლად გაუძღვა მძიმე მოვალეობას: გაქირვებულთ ეტალკვესა...

ბაქოს საზოგადოება კვირას, 21 თებერვალს, იხილავს მას საბენეფისო წარმოდგენაში („უბნადები“) და გულწაკლულიც არ დარჩება. იმედია, არც ბაქოს საზოგადოება დასტოვებს გულწაკლულად ნიქიერ მსახიობს.

მოგზაურობა სისხლის წვეთისა

ექიმი ივ. თიკანაძე

თუ საზოგადოთ, ეოგეღგვანი ცოდნა სსკი-რთა და სსსარგებლთ, თვისი სსკუთარი სსკუდი-სა და აგებულების ცოდნა უზირველეს სსკტირთე-ბას შსადგენს.

სსმეტნიერო წიგნებით ჩვენი მწერლობა მე-ტათ ღარბობა.

ამის მიზეზათ ბევრი ტერმინების უქონ-ლობასა სთვლის.

ჩვენი ენა იმდენათ მდიდარი და განუითარ-ებულთა, რთმ შეუძლებლთა, ტერმინები არა გგქონდეს. ტერმინები მართლაც არის, მაგრამ ჩვენი სსმწუხაროთ არ ვიცით, თუ რამდენათ გან-ვითარებულთა ქართული სსმეტნიერო ენა, ამის

სსუცხოეო მსგაღითს წარმთადგენს. ექიმი ივ. თიკანაძის „მოგზაურობა სისხლის წვეთისა“.

რამდენი სანთა, მინდა ამ წიგნის შესახებ რეტენზიის დაწერა, მაგრამ ვერ მოვახერხე: არის ზოგჯერ ისეთი წიგნი, რთმლის სიღამაზე და მომხიბვლელობა არავითარ რეტენზიაში არა თაგ-სდება. სწორეთ ასეთთა ზსტიფეტმული თიკანაძის წიგნი.

თუ ასე უბრალო, მარტივი და ვველასათვის მისაწდომი ენით შეიძლებოდა სსმეტნიერო წიგ-ნის დაწერა, ჩემთვის წარმოუდგენელი იყო.

ისეთი რთული ორგანოები, რთგორც თვა-ლი და ყურთა, ისე სდა ენით არის აწერილი და ახსნილი, რთმ სულ მოუმიზადებელ მკითხველს შეუძლია გაგება ადვილთ.

ზოგჯერ მეტნიერება მსხვერპლად ეწირება ადვილთ ახსნით გატატებას. ავტორი ადვილი ენით აგისნით, მაგრამ მისი ახსნა მეტნიერული არ არის სრულიად. ბ. თიკანაძის წიგნი ამ მხრი-ვაც გამონაკლთ: სიმარტივე და მეტნიერება თა-ნაბრად არის დცული შიგ და ერთად შედუღე-ბული; თაგიდან ბოლომდე წიგნი მეტნიერულთ არის დაწერილი, ერთ ეალბ ახსნას ვერა ქბოებთ შიგ; ამგე დრთს ზირდაზირ გასათცარი სიმარ-ტივე, სიცხადე და სდაობას შიგ დცული.

წიგნის დიდ ღირსებას სსუცხოეო ტერმი-ნები შსადგენს.

ავტორს სსფუძვლიანათა აქეს შესწავლილი და გამორკვეული სსანატომიო და სსფიზიოლო-გიო ტერმინები.

მთელი წიგნი ისეთის ხაღისითა და გატა-ტებით იკითხება, რთგორც მხიარული მოთხრობა.

დიდი შრომის, დიდი ენერგიის დახარჯვას სსჭირთ, რთმ ასეთი წიგნი შსადგინთ. მაგრამ მარტო შრომა არა კმარა. სსჭირთა ცოდნა.

ავტორი ხმარობს უანგმზადს; კეთილსმო-ვანების გულისათვის მე ვამჯობინებდი უანგზადს, რთგორც ხმარობენ სსუებიც. უბა-ყურა ჟირკვლას ვამჯობინებდი ყურის ძირა ჟირკვლას, რადგანაც უბა-ყურა ერთგვარი ავადმყოფობას ამ ჟირკვლი-სა და სდი ჟირკვლის სსხელად მგონია გამო-უსადეგარი იქნება.

დიდი მადლობის ღირსია ზსტიფეტმული ავ-ტორი, რთმ ასეთი იშვიათი წიგნით გაამდიდრა და დაამშვენა ჩვენი სსმეტნიერო მწერლობა და

თვით წიგნი კი დირსია, რომ ყოველ ქართველ
 ოჯახში ჭქინდეს მას სანატიო ალაგო, მით უმე-
 ტეს რომ წიგნი ღამაზათ არის გამოცემული *)
 და მეტათ იაფია.

ვ. კ. შიქლიძე



საზოგადო მოღვაწე
თავ. ნ. რ. ერისთავი
 გადარცხადებულან წლის თავის შესრულების გამო

სრემლები სულისა

ა.

ვის უკითხავს, თუ რათ ჩქრიალებს თა-
 ვისუფლად გიჟი ჩანჩქერი, ან რათ ნაფარ-
 ლობს კილით-კიდედღე ლალი გრიგალი?!

ვის უკითხავს?!

ან, ვის რა უნდა, რათ ბუტბუტებს გი-
 ჟი ჩანჩქერი; რათ ბუტბუტებს ლალად და ან-
 ცად?!

ან, ვის რა უნდა, თავისუფლად რათ და-
 ნაფარდობს გიჟი გრიგალი?!

ან ვის რა უნდა, ან ვინ კითხულობს?!

მაშ, ვის რა უნდა, მეც თავისუფლად
 ვინაფარდო?!

მე ხომ ადამიანი ვარ!!

ვის რა უნდა, ჩემი გულის სიღრმიდან,
 ხან სიხარულის, ხან სიმწუხარის ხმები ამო-
 სკდეს!

რათ კითხულობთ, თუ რათა ვსტირი, ან
 რათ ვიმღერი?!

*) ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ, შემუშა-
 ლია მრავალი სურათით, შეიცავს 88 გვ. და ღირს
 35 კაპ.

ვის რა უნდა ამ გულმა, რომელიც ესო-
 დენ სიყვარულს ინახავს, სიმძულვარეც ატა-
 როს!!

მე ხომ მინდა ლალი ვიყო, ვით თვით
 ჩანჩქერი, მე ხომ მინდა ლალი ვიყო ვით ქა-
 რაშხალი?!

მე ხომ მინდა თავისუფალი ვიყო, ვით
 თვით ცხოვეტა!

მაშ, ვის რა უნდა, რომ ის გული, რომელიც
 ერთგულების სალაროა, მაცდურიც
 იყოს!!

ვის რა უნდა იმ გულმა, რომელიც ცეცხლს
 ატარებს, ყინულიც იჭონოს!?!
 ვის რა უნდა!

ვის რათ კითხულობს?!

მე სიყვარულიც ვარ და სიძულვილიც.

მე ყველაფერი ვარ, რადგან სახელი ჩემი
 სტიქიონია!!

ჰო, და ვის რა უნდა, ან რათ კითხუ-
 ლობს, თუ რათა ლალობს ჩემი ბუნება.

ბ. ს მ ვ დ ა.

ხა, ხა, ხა! ვიცინი. სევდიო ვხარხარებ!!
 მეტყვიო რათ ვიცინი, როცა უნდა ვსტი-
 როდე!

და განა სულ ერთი არ არის? ვის რა
 უნდა რათ ვიცინი?

განა ქარიშხალს ეკითხებიან ხოლმე, თუ
 რათ ზუზუნებს?!

მაშ, რათ გინდათ გიხრათ, რათ ვხარ-
 ხარებ, როცა უნდა ვსტიროდე?!

თქვენ ყური უგდეთ მხოლოდ ჩემს ხარ-
 ხარს. მე ვხარხარებ, რადგან არც მე ვიცი
 რათა ვხარხარებ!

ბ. ს ი ხ ა რ უ ლ ი.

კრემლი მცვივა. ვსევდიანობ.

სევდა და კრემლი .. ტანჯვა-სიხარულ-
 თან... ტანჯვა სიხარულით შექმნილი. სიხა-
 რული ტანჯვაში ამოქსოვილი...

— განა შეიძლება?!


რათ მეკითხებით, განა მე თვით ვიცი
 რათა ვსევდიანობ, როცა უნდა ვიცინოდე?!

დ.

ეხ განა ბევრიც რომ იკითხოთ, გაიგებთ
 როგორც ვარ?!

ვერა! რადგან არც მე ვიცი. .
 მინდა თავისუფალი ვიყო, ვინა ქარიშხა-
 ლი და მონა ვარ!
 მინდა ნიავად ვიქცე და ნელა ვბუტბუ-
 ტებდე, მარა ვქარიშხლობი!
 დაე, მაგრამ მე მიინც მინდა ლალი ვიყო,
 ვით ცის გრივალნი, გიჟი ვიყო, ვით ქარიშ-
 ხალი...

ქ. ბაქო.

წიგნი


მ ა მ ა !

ერთხელ ვ-ხილე შენს თვალთა სიღრმე-
 ში მოციმციმე მწველი სხივი და მას შემდეგ
 ვეღარ ვპოვე სიმშვიდე სულის.

სიყმაწვილის ცეცხლი მსურდა აღმეგზნო
 შენს საკურთხეველზე, მაგრამ თვით მე დავი-
 წვი, დავიფრფლე შენს თვალთაგან გამონა-
 კრთობ ცეცხლის ნაპერწკლით. შენზე ოცნე-
 ბით გავატარე სიცოცხლის დღენი, მაგრამ
 ვერ გავიგე შენდამი მძულვარებით, თუ სი-
 ყვარულით იყო მოცული სული ჩემი.

მშვიდ, სურნელოვან თეთრ ღამეს, შენ
 ოდესმე ესტუმრე ჩემს საკანს. იმ დროის შე-
 ნი სხეული ბრწყინავდა უმანკოებით, ვით ყვა-
 ვილის მკერდი მაისის ნაშით. შენი ხშირ წამ-
 წამათა რხევა წაგავდა ვერხვის ფოთოლთა
 ნახ შრიალს.

დიდხანს მეხვივნენ კისერზე შენი თმის
 ნაწნავები. დიდხანს გორავდა ჩემი თავი, შენს
 მკერდზე აზვირთებულ ტალღათა შორის...

ვნების ფერხულში მომტაცე ნაწილი სუ-
 ლიერ „მე“-სი, ვნებით ალერსში გამოინაკე-
 თა ნაწილი გიჟ სიყმაწვილის.

ვით მეძავი ქალი ფეხაკრებით გაიპარე
 განთიადზე ჩემის საკანიდან ან რა განსხვავე-
 ბა სუფევდა მეძავთა და შენ შორის ამ ღამის
 შემდეგ?

იმ დღიდან აღარ შევხვედრ-ვართ ერთ-
 ურთს, შორით დანახვაც კი მოგვაგონებდა,
 თუ ოდესმე როგორ ამოვისვარეთ ვნების მო-
 რვეში, როგორ შეეცოდეთ წმიდა სიყვარულს.

ხშირად ვეღინებოდი სიზმრად ჩემს გა-
 ნაწამებ სულს, ვით ძღვეის სკიპტრა, ხელთ
 გეპყრა ნაწილი სულიერ „მე“-სი და ნახად

არწევდი მას, ვით ნიავი ლერწმის ხარო ტანს...

შენს მეუღლის ბაღში ხშირად გადმოვ-
 პარულვარ ღამით, რომ ღია ფანჯრიდან სან-
 თლის შუქზე დამენახა ნაყოფი ჩემი სიგიჟის,
 მაგრამ შენს შვილებს შორის ვერ ვიხილე ის!

რა უყავ? ვის კარებზე დასტოვე შალ-
 ში გახვიული?

რა უყავ ნაყოფი გიჟ სიყმაწვილის?

ქუჩის შვილთა შორის ვეძებ მას, იქნებ
 მშვიერთა და მწყურვალთა შორის იზიარებს
 სიცოცხლის ტანჯვას?

ჩვილ ყრმათა საფლავთა შორის ვეძებ ჩემ
 საყვარელ შვილს, იქნებ გულქვაო სასიკვდი-
 ლოდ გასწირე იგი? მაგრამ პაწია საფლავთა
 დუმილი არასფერს უმბობს ჩემს განაწამებს
 სულს.

მითხარ რა უყავ იგი!

ყვარჯენზე დაყრდნობილი მოხუცი მამა
 ეძახის თავის შვილს: სადა ხარ, შვილო! ერთ-
 ხელ მაინც დაენახვე შენს ბედკრულ მამას!
 ერთხელ მაინც შეაჩერე ცრემლები მამის
 თვალთა დაწვევებზე. შესაძლოა სიცოცხლე გა-
 ნაწამები შვილიც მამას უხმობს უკანასკნელ
 წუთს.

მითხარ, წყეულო, რა უყავ იგი! სად არის
 შვილი ჩემი? უკანასკნელ წუთებში მაინც
 აღირსე მამა-შვილს ერთურთის ხილვა.

მის. ხოჭოვანიძე

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

II

(დასურათხატებული ლ. გუდიაშვილის მიერ)

(გარძელება იხ. „თ. და ც“ № 7)

— აბა, თქვენ იცით, როგორ ქკუით და
 ყოჩაღათ იქნებით — მეორე დღეს დილა აღ-
 რიან ეუბნებოდა ვანო თავსიანებს: — უნდა
 გამოგიტყდეთ, ჩვენი ჯარი ეხლა ისეთ ალა-
 გას მიდის, რომ იქიდან დაბრუნება ბედნიერს
 ეღირსება, მარა თქვენ ამით სულით ნუ დაე-
 ცემით. . . ოჯახი გვარიანათ გაქუ მოწყობი-
 ლი... იშრომეთ, ერთმა მეორეს გაუგონეთ
 და, თუ წახტეს საქმე... ეს ბავშვები გამომი-
 ხარდეთ. — უკანასკნელ სიტყვებზე ვანოს

გული აუჩვილდა, და პარი მიიბრუნა, რომ ცოლისა და მშობლებისათვის ცრემლები არ დაენახებინა, მაგრამ გვიანლა იყო... იმათი თვალებიდან ცრემლის ნაკადულს გზა უკვე ეპოვნა.

— ნუ წახვალ, ვანო, ნუ... სიკვდილში მიხვალ?!. თუ ჩვენ არ გებრალეებით და არც შენი თავი, ბაღნები მაინც შეიბრალე... გულის ამოსკვნით ქვითინებდა ქმრის ერთგული პისტი.

— ეს შეუძლებელია... ეს ხომ ღალატი იქნება!.. რაც მომივა მომივა... გთხოვთ, თუ ჩემი ხათრი და სიყვარული გაქვთ, და ჩუმი და გამიგონეთ. მე ანდერძის თქმა არ მომეკლავს... ყველა მეომარი მზათ უნდა იყოს სიკვდილისათვის... სულელია ის, ვინც ცეცხლში შედის და იქიდან ცოცხლათ ფიქრობს გამოსვლას... პისტი! გთხოვ როგორც ნამდვილ მეგობარს: თუ საქმე წახთეს, რაც უნდა გასაქარი დაგადგეს, ამ ოჯახს ნუ მიატოვებ და ეს ბაღნები შენ ამოხარდე... თუმცა ვინ იცის, იქნება აწიც ისე გადავჩქე, როგორც აქნამდის. — ხმის კანკალით უთხრა ვანომ საყვარელ ცოლს და გრძნობით აკოცა.



— გრცხვენოდეს, ვანო... გრცხვენოდეს... მეტს... აფერს... გეტყვი... — გულის ამოსკვნით ქვითინებდა ბედშავი პისტი.

— ღმერთი, ღმერთი და ჩვენი სისაწყულე გადაგვიჩვენს, შვილო, შენს თავს... ღვთის მშობელი იყოს შენი მთარველი... უთხრა და გულზე მიიკრა მართამ შვილი...

— მშვიდობით, ჩემო საყვარლებო... ჩემო მტრედებო— მიძინარე ქალ-ვაჟს ეამბოროა

საბრალო მამა. გოგი ფუნთუშა ლოყაზე და-ცემულმა მამის ცრემლმა გამოაღვია... ბავშვი წამოდგა, თვალები მოიფშვინტა და მამას პურის მოტანა მოაგონა:

— მამა, პუპუ... დიდი პუპუ...

— კი, შვილო, მოგიტან პუპუს; ეხლა დაწეკი და დაიძინე.— კიდევ აკოცა ხუჭუჭა თავზე და დააწვინა. გოგამაც გვერდი იბრუნა და უღარდელად კვლავ ჩაეძინა.

— აბა, ეხლა კი მშვიდობით... გრცხვენოდეს პისტი... შენ სტირი, როცა მე უნდა მამხნევებდე... ნუ სტირი, მამა, მე ისევე მოვალ, ნუ გეშინიათ... მშვიდობით ყველა. — ვითომ ყოჩაღათ წამოიძახა და ჩქარის ნაბიჯით სახლკარს მოშორდა...

— ოხ... ღმერთო... წყეული იყოს ომის მომგონი, — ამოიგმინა მან, ერთხელ კიდევ შეხედა საყვარელ სახლკარს და თითქმის სირბილით დაეშვა ფართე შარა-გზით...

ახლად ამოსული მზის სხივები კი თვალეში უქიატებდა, უცინოდა ჩვენს მიმავალ მგზავრს, თითქოს დასცინოდა ადამიანების უგუნურ ქცევას...

(დასასრული იქნება)

ს. რემონიძე

ხელოვნების მოკლე ისტორია

თ ა ვ ი |

ხელოვნება ეგვიპტისა, ასურეთისა და ფინიკიელებისა.

საერთო ხასიათი ეგვიპტის ცივილიზაციისა. ჭერადატმა სთქვა: „ეგვიპტე ნილოსის ძღუენია“ და მართლაც ეგვიპტელები ამ დიდებულ წყლის მონაღეჟ ნადაგზე მოსახლეობენ და თავის ცხოვრების სახსარს უოველ წლიურად სწორედ ამ წყლის მოდიდებისაგან დებულობენ, რადგან ამითი ნაყოფიერდება ნილოსის უზარმაზარი ვედი. იმ დროშიაც, როგორც ეხლა, ეგვიპტე უდაბნოებით იყო გარშემორტყმული და ცხოვრება მხოლოდ ნილოსის ნაპირებზე სდუდა და გადმოდითდა, რადგან ცხოვრების სახსარს მასინაც ნილოსის ზვირთები იძლეოდა. ვინ იუგ-

ნენ ძველი ეგვიპტელები, რომელი მოდგმის, რა ტომის, გამოურყვევებია, მხოლოდ ვინა, რომ მათი ეს ენათესავება სემიტურს. ძველს შორეულს ხანაში ეგვიპტელები წარმოადგენდნენ რამდენსავე დამოუკიდებელ მოდგმას, მაგრამ ბოლოს ერთმა ვიღაც მენესმა ხელთ იგლო უფლებას და დაარსა ეგვიპტის სამეფო (დაახლოვებით 5000 წელს ქრისტეს შობამდე).

ეგვიპტის ისტორია სასოკადოთ თხს დიდ პერიოდთ იყოფა: ერთი მეფისის თავის სატახტო ქალაქით მეფისით (ჟაინის ახლო); მეორე თიბაიდის, რომლის განმავლობაშიაც უფრო ხშირად სატახტო ქალაქად თიბაიდა იყო; მესამე საისის, სატახტო ქალაქ საისით და აგრეთვე დელტის სხვა ქალაქებით და მეოთხე არის პერიოდი საბერძნეთის მომძლავრებისა.

ხელაგნების ისტორიის ეპოქებზე სწორედ ამ პოლიტიკურ ეპოქებზე უნდა დავიფიქსირდეთ, რადგან ამ უმად ხელაგნების ისტორიაც შეესაბამება ასეთ დავაფასს.

მეფისის პერიოდი შეიცავს ეგვიპტის ცივილიზაციის სრულს აღორძინებას და აყვავებას, რაც უნდა ვიფიქროთ, რომ ნაყოფია წინანდელ საუკუნეთა მთელი რიგის მომზადებისა ამის შემდეგ კი მკვიდრ ეგვიპტელთა ბედ-დღობი დროებით იხრდილება ქანაჩელთა, ანუ შვედისთა ან კიდევ გიქსთა შემოსევით, მაგრამ ბოლოს მანინ ეგვიპტე განმარჯვებული გამოდის განსაღდეღისაგან. იგი იპურებს სირიას, აფართოვებს თავის სასაღვარს ტიერას და ეფერატამდე (VXII საუკ. ქრისტ. შობამდე) და რამზეს II-ის დროს უმადელს მწვერულამდე აღწევს მისი ცივილიზაცია. ამის შემდეგ კი ვერ ასურელთა და შემდეგ სპარსელთა მიერ დაპყრობილი და დამორჩილებული ეგვიპტე მხოლოდ ბერძენთა ხელში დგება ისევ ფეხზე და იკრებს ძალას (330—30 წლ. ქრ. შობამდე). აღქმსანდრე მაკედონელი სარდლის პტოლომეოსის შთამომავალთ შეაქვთ ეგვიპტეში ბერძნული კულტურა, მაგრამ იმავე დროს ხელ-უხლებლად სტოვებენ ძველს ეგვიპტურ კულტურასაც.

ეგვიპტელები სასოკადოთ არ იფენენ ბუნებით მერმად დაბადებულნი, თუმცა მრავალი ომიც გადაუხდათ და მრავალი ქვეყნებიც დაუპყროთ. ისინი უფრო ხასიათით წყნარნი და სათნონი იყვნენ

და დიდის მორჩილებითაც იტანდნენ ხალხე მტერთა მომძლავრებას. ამიტომაც ისინი დიდათ დთვის მხანგნი იფენენ. მათი მრავალ-რიცხვანანი დმერთები, რომელთაც წმინდა ცხოველთა სხე ქქონდათ მიცემული (ობისი, ხანი, შევარდენი და სხვ.), რა—მზე, ოზირისი—დმერთი სიკეთისა, სეტი—დმერთი წუგლიადისა, ეს ყველა ძველს ეგვიპტელს წარმოდგენილი ჭყავდა, როგორც ერთა დმერთის გამოსახულება და მთელი მისი რწმენა საიქიოს ცხოვრებაზე იყო მიპყრობილი. სიკვდილის შემდეგ კაცის სული უნდა წარუდგეს ოზირისს. „წიგნი მიცვალეზულთა“—ლოცვათა და ბრძნულ აზრთა კრებული, რომელიც უფველ მუმიას თან ახლავს—გვანცნობს ამ სამსჯავროს ხასიათსა. თუ სული დამნაშავე იყო მრავალ ტანჯვის შემდეგ იქცეოდა აზრად და თუ უმანკო, მამინ განწმენდის შემდეგ დმერთთა გუნდში იტკრდა ადგილს, სწვრეტდა უზენაეს არსს და შემდეგ უერთდებოდა მას.

ეგვიპტური ჭიმბები და ლოცვები აღსავსეა პოეტურ სურათოვნებით და ეს არის კიდევ მისი მახეჩებელი, თუ რა გავლენა ჭქონდა რელიგიის ხელაგნებაზე.

„დიდება შენდა, მუდამ ჭაბუკო და მუდამ ახლად წარმოშობილო შემურვილო, არსო უფველ დლე თავისთ-თავ დამბადებელო!

„დიდება შენდა, პირველ-ყოფილ უკიანეს სედა გამობრწენიეზულო და მის შენაქმთა სიტოცხლის მომნიტებელო, რომელმან შექქმენ სამუარო და მოჭფინე სიადუმლოება სიფრცესა!

„დიდება შენდა! ოდეს შენ სვიდოდე ცათა შინა, შენმა თანა-მსლე დმერთებმა დმოუტევეონ ეიფინა სიხარულისა! — აი ესე ადიდებდენ ეგვიპტელები მზის დმერთს რა-ს. სხვა ალაგას ეგვიპტე დმერთი გამოსატულია მდგომი წმინდა ნაფში ჩნელი-ნელ მოქანავე ციურ წუალთა სვირთებზე და თან ახლავს გუნდი დმერთებისა. „კეთილის მყოფელი, სსივ-ცისკროვანი, აღმოსიდი იგი უველგან ჭფენს სიტოცხლესა და სიხარულს.

(გავრძელება იქნება)

ს. ჯ. ჯიქიაშვილი



ომის მსხვერპლი



პრაპ. დავით ერემ.-ძე ანთაძე

გერმანიის საზღვარ-სეკრეიტობისაგან გარდაიცვალა და ქალ. ოსურგეთში ჩამოასვენეს კვირას, 14 თებერვალს კი ს. ბახვის დეთისმშობლის ეკ. კალაგანში დაკრძალეს. განსვენებული ქართული ლიტერატურის დი. დი. მოყვარული იყო და, ცუდი ზირობების მიუხედავად, მის შესწავლას სცდილობდა. სწორად მოთხრობებს, მინიატურებს, ხალა ჯერ-ჯერობით ან აქვეყნებდა. აქვე მოგვეყვას ბრძოლის ველზე დაწერილი და თავის დასთან გამოგზავნილი გურული სტენა, რომელიც ინტერესს მოკლებული არ არის.

უქრძოთ დარჩენილნი

გურული სტენა

— დილა მშვიდობის, ჩემო სოფიო!

— ღმერთმა მშვიდობა და კარგათ ყოფნა ნუ მოგაკლოს, გულო, ივლიტე. სად ყოფილხარ, ქალო, ასე ღორის გაშობამდის?

— აგერ ღობიროში გიახელი, ჩემო სოფიო, იი მგელის მოსაკლავი ძროხა გადავდენე ქალო. ისე გაშრა, ისე გაშრა, რომ ერთი ნაწყვეტა რომ არის, იმასაც ვეღარ ვჩეხები და ვიფიქრე ეგება ცვარიანი ბალახი მოუხდეს მეთქი. წამოვხტი ცის იალონზე, მოვწველე იგი სამგელე, მარა აფერი არ ჰქონდა ძუძუში, და ძუნძულ-ძუნძულით გადავარბენიე ღობიროში...

— ყორიფელი-ყორიფელია, ჩემო ივლიტე, მარა ამ ავღრებმა თლათ მომსპო აღამიანი. გეიხედავ და სულ წვიმს ქალო. ისე ჩაღვა რაცხა ორი კოტა სიმინდი იყო, რომ ქრისტინი კაცი ერთ ნაქუტელასაც ვეღარ იშოვის. ყურძენი ხომ აღარა და აღარაა... ხო და რავა გინდა სიცოცხლე ახლანდელ ღროში. მომუშავე ხელი გვყავდა და იგი ხომ

ჩხუბში წავგართვეს, რაცხა გერმანიაა...

— ქალო, მეიცა და ღმერთით მალე მოვესწრებით სიკეთეს... გაზაფხულდეს და ნახავ იი ჩვენი ქმრები შვილობიანად დავგიბრუნდებიან.

— შენს პირს შაქარი და კრიბუტი, ჩემო სოფიო. მაგას ველირსებოდე თვარა ერთი ნაზარდა მყავს იმასაც კი დავკლავ. მუყური შენისთანა კარგ მეზობლებს თავს და სულ „ოროლოღეს“ ვაძახებებ.

მაგი მაგია და იი საუცხოვო ამბავი ქე მაიწყდებოდა.

— რაი, ქალო, იმისანა საუცხოვო რაია? შენი გერასიმე ხომ არ მოსულა?

— გერასიმე არ მომსვლია, მარა იმისანა ამბავს გეტყვი, რომ სულ გაგაშტერებ.

— თუ შეტყვი ქე მითხარი ბეჩა თვარა, ნუ გამაყერყერი ივანიკას ავლის ხესავით.

— ქალო გევიხედე წუხელის საღამოს და ვინცხა აფიცერი მოახრიკინებდა ჩვენსკენ ფაიტონს. მივაშტერე გიჟსავით თვალეზი, მარა ვერ ვიცანი. ვიფიქრე ვინმე დიდი კაცი იქნება მეთქინ და ქე წვევდი სახლში.

— მალე თქვი თვარა მიძახიან სახლში გულო.

— ხო და, ქე წავედი სახლში, ვთქვი ყაძახთან და არ მოიშალა და წვევიდა ქაიხოსროსკენ. საღამოს ქაიხოსროს თებრონიამ გაღმეირბინა და იმან მითხრა რომ, ჩემი ძმაი ჟორჯიკი მევიდა აფიცერიო. ჯერ, გულო, გონს ვერ მოვედი, რომელი ჟორჯი ჰყავდა ქაიხოსროს! ერთი გოგილიე ჰყავდა, დიდი ხანია სახლში არ იყო და აღბათ იმან თუ მიიღო აფიცრობა მარა აი ჟორჯიკი რათ დაათქვეს მეთქინ. გამიხარდა, და მეც ქე გაღვირბინე... ხომ იცი, ჩემი გერასიმე რომ არის, საღდათში წაიყვანეს შენთან და იქნება იმანაც იშონოს შენი წყალობით აფიცრობა მეთქინ.

— რავა, ქალო, გერასიმას ვინ მისცემს აფიცრობას?... იგი ხომ ნასწავლი არ არის!

— არა, ქალო, ახლა ყველას აძლევენ თურმე აფიცრობას და ქალიც რომ წავიდეს იმასაც კი მისცემენ.

— არც მასთვა, გულო. აფიცრობის შო-

ნა ძნელია. ვიღაცას შენთვის მოუტყუებია...
 — ხო და გადავიარე და ქე ვიცანი აი ჩვენი გო-
 გილიე. ისე დინჯათ იჯდა და მუსაიფობდა,
 რომ ყვინი გეგონებოდა. შევეხვეწე ჩემი შეი-
 ლის წაყვანა მასთან და ქე დამპირდა. ახლა,
 ქალო, ეიჩემა ჩემმა გვარონჯა ციცამ გაღვი-
 რო და მეც ვნახამო. აბა რას ვახტები ამ
 ქირის გასაწყვეტ ციცებთან!?. დამიწყვიტა
 ბაღნები, არბენია სოფელ-სოფელ ზოგი პუდ-
 რიზა, ზოგი უმარილიზა და ამ დილას აპირობს
 გაღარებას. წუხელის არ უძინია, პირის ბა-
 ნით გადიძრო ლოყახე ტყავი.

— აი აია და მე ქე დავაგვიანე სახლში
 და ხომ იცი ჩემი ხორცლადი ბაღნების ამბა-
 ვი. ცოცხლათ შემქამენ, თუ ამ დილას კვე-
 რი არ გამოუცხვე და ქფილი კი არ მაქ...
 მასესხე, ქალო ერთი ჩენჩილა ქოთან ქფი-
 ლი...

— კი, გულო, შენ კი გასესხებ მარა
 არავის უთხრა, თვარა ქე გამომიცლიენ საქ-
 ფილეს: აი მე ჩენჩილაიო, აი მე დატენილიო
 და მეტი კი არ მაქეს... ხო და შეაბეროს
 ღმერთმა იი ჩვენი გოგილიე მის პრაპორქიკო-
 ბაზე...

— ახლა კი მშვიდობით, ჩემო გულო.
 ღმერთმა შენი თავი მიმყოფოს კარგათ. გამო
 ვაგზანი გოგოს და რომ დამპირდი ერთი ჩენ-
 ჩილა მასესხე თვარა დატენილს რავა გაგი-
 ბედავ!?.
დავ. ანთაძე

ყვავილები

**

გუშინ ვინც რომ ოფლსა ღვრიდა
 ქარხნებსა და შინდორ-ველად,
 დღეს ისინი ველად ჰყრიან
 ყვავ-ყორნების საკორტნელად...

ეხ, ჩაგრულნო! სიცოცხლეში
 სულ ცრემლს ღვრიდით ყრუ ქვითინით,
 და დღეს კი დღეს . ვახ, ბელშავნო!
 სიკვდილიცა თქვენ დაგცინია!!!

ღრუბელი

ქ ა მ ა ნ ჩ ა ლ ა ს ი მ ი ბ ი

ინოკენტი ანგნსკიდან

ო, რა მწვავეა ეს ოცნებანი!
 შენ, მთვარე, ღრუბელთ მწვერვალში კვდები.
 სიმთ ეხებოდე ამდენი ხანი
 და სინათლეში ვერ სცნო სიმები!
 ვიღას უნდივართ? ვინ მოუკიდა
 ორ ყვითელ სანთელს, ორსა მკმუნვარეს?
 ქამანჩას კაცმა ხელი მოჰკიდა
 და შეუერთა სიმებს მგზნებარეს.
 რავდენმა განვლო! ამ ნაზ ღამეში
 სთქვი: იგივე ხარ, რაც რომ იყავი?
 და მკრთალ სიმების მკრთალ სიამეში
 კვნესდა მუდარა შორს გამრიყავი.
 ჩვენ ხომ არას დროს, არას დროს მეტად
 არ დავშორდებით ერთმანეთს? — კმარა!
 პასუხი სიმებს ვერ გაებედათ,
 ქიანურის გულს სწვავდა იარა.
 ქამანჩა მიხვდა... სღუმს ვით წყვდიადი...
 ხმა ქიანურში არ სღუმდებოდა
 და ტანჯვა იყო მათთვის დიადი,
 რითაც მსოფლიო ასე სტკებოდა.
 მაგრამ სანთლები ადამიანმა
 აღარ დააქრო. კვნესდენ სიმები.
 და შავ ხავერდზე დილამ მზიანმა,
 ნახა ისინი ძალ-მიხდილები.

ვალ. გაფრინდაშვილი



გაბრიელ ეპისკოპოსი
გარდ 20 წ. შესრულების გამა.

ჩემი პრომეთე

ვინ შეედრება ჩემს სულის კერპს, ჩემსა ღვთაებას,
ან ვინ აიტანს ჯოჯოხეთურ მისებრ ვაებას?
თუმცა დიდა, უბაღლოა იმისი ქირი,
მაგრამ ამ ქირშიც მხიარულად უტინის პირი!
ის პრომეთეა, შერისხული გმირი პრომეთე,
და მეც წყველილმა, მის ბედისამ, ის გავალმერეთ!
ვინ შეედრება ჩემს მეუფეს, ჩემსა ღვთაებას,
ან ვინ აიტანს ჯოჯოხეთურ მისებრ ვაებას?!

Handwritten signature

სონეტები

I

ანგელოსისა რად მაჩვენე სახე მზიური,
თუ ასე აღრე დასკვნებოდა იმედის ვარდი?
თუ არა გრძნობდი, დამადნობდა ნაღველი-დარდი,
თუ არ შეგეძლო სიყვარული წმინდა, ღვთიური,
ანგელოსისა რად მაჩვენე სახე მზიური?
ერთხელ გიხილე, შემდეგ ვიწვი როგორც ფარვანა,
სინათლის შუქით მოხიბლული, მოტყუებული,
უნუგემობით დატანჯული, დამწუხრებული—
შენმა შეხვედრამ ისე დამწვა, ისე მანანა,
და შემდეგ ვიწვი, ვიფერფლები, როგორც ფარვანა.
ახ, შუშანიკა! შუშანიკა! რად შემეყვარდი,
რომ მომიწამლე წუთიერი ბედნიერება?
თუ სიყვარული ღალატია და ცბიერება,
თუ ასე სკვნება გაფურჩქნული იმედის ვარდი,
ახ, შუშანიკა! შუშანიკა! რად შემეყვარდი?!

II

მე უშენობას ვერ ავიტან, —აღრე მოვკვდები,
ამ შეყვარებულ გულს სამარე დაეფარება,
მაგრამ, ძვირფასო, სიკვდილითაც ვერ გავშორდები,—
შენი სახელი თან წაყვება და შეყვარება.
ჩემს სიცოცხლეში ერთხელ გნახე ტურფა სადარი,
მაგრამ უეცრად დამეფულა ისევ ნაღველი,
ახლა დავდივარ და ვკითხულობ: „—სატრფო სად არი?
სად არის ჩემი უკვდავების გამომსახველი?“
სატრფოვ! მისმინე, აღმისრულე ეს სათხოვარი:
რადგან ვეწამე, სიყვარულმა რადგან გამრიცა,
როდესაც მოვკვდე, ჩამასვენე სადა კუბოში
და შენი ხელით ამოსკერი ზედი: „—შუშანიკა!...“

Handwritten signature



† ლუკა სიმ. თათიშვილი
(1860—1916)

სახალხო მღვდელმთავარი,
სწერდა „ივერია“-ში (დაბეჭ.
„ჯორჯს ამაჯი“ და სხ.). 1895 წ.
ცალკე წიგნად გამოსცა: 1) დი-
დი ისტორიულ-ლიტერატურული,
დასურათებული, პოემა „სიყვარ-
ული“, ეროვნული ქანკთა გა-
ყდენითი; 2) „ცხოვრება და
წამება წმ. მოწამეთა დავით და
კონსტანტინისი“, 3) „დამიანის
გულის ნდობა და წრფელი სინ-
დისის დაკითხვა“, 4) „კავშირი“
—წრილ ლექსთა კრებული. დარ-
ჩნა ბევრი ხელნაწერი, მათში
არა დიდა ნაწარმოები. ნაწე-
რებში განსაკუთრებით ჩვენს
ეროვნულ აღორძინებას შესტრ-
ფოდა და ენატრებოდა, რომ
„აწ სამშობლოს დაკარგული
ნეტარება დაეზრუნებინა“ („სი-
ყვარული“), მაგრამ ვერ კიდრსა
და გარდ. სოფელში თებერ.

გოიკოტი

ნიქა სემ მოქ. და ოთხ სურათად
(გავრძელება. იხ. „თ.“ და ც.“ № 7)

მომხდება მორა

(ბასრა. სტენაზე მოსხანს ორი ღუქანი მანტ: სიყისბო და თორნე. სიყისბოს ზედვე მწვანე-უღობის განუფიქლება აქვს. ხალხი მოძრავს. თორნის წინა ზის მუხურე და კრიაფისანს ათამაშებს. ესაბი სედრაკა მწვანეღსა წნამავს)

სანდრო და სედრაკა.

სანდრო. დანამე, დანამე, სედრაკ, იქნება მუშტარს თვალი აუხვიო, თორემ ძალიან დამიქნარა ვე შენი „პეტრუშკა“.

სედრაკა. მაგის დარდი ნუ გაქვს! ერთი მიყურე როგორ „გაეპარადალაეო!“ ყველაფერს შნო უნდა არა! შენსავით დოყლაპია კი არა ვარ! კვირაში ნახევარ ფუთ ხმელ პურსა ჰყრი. დაუწონე რაღა, მიაყოლე და ანგარიშიში სწორეთ გამოხვალ.

სან. დაუწონე, მაგრამ რომ არ მიაქვთ!

სედ. არ მიაქვთ რომელია! მუშტარს განა მაგდენს ვალაპარაკებ! რა დაგიღია ხახა და მუშტარსა ჰკითხავ: „какой жалайто“, არ ჩევანში შავა, მაშ რას იზამს! სასწორი ისე უნდა ათამაშო ხელში, როგორც ბარიშნა.

სან. რა ვქნა, ვერ მოვახერხე, სედრაკ, ვერა.

სედ. უშნო რომა ხარ, იმიტომ ვერ მოახერხე. არა, მაგას რა დიდი პრაფეცორობა უნდა. ახალი პური დაღე და ის ხმელიც დავესკათ ზედ მიაყოლე. ისე ნიმუტში უნდა აუწონო და კარზინკაში ყლაპა გაადინო რომ მუშტარმა „ზამეჩანია“ ვერც კი მოასწროს. თანაც უტებ უნდა ჰკითხო: „может быть лавашь жалайте?“ ამ ლაპარაკში სულ დაავიწყდება შენ „დავესკა“ დაუწონე თუ არა. მაშ, შენ ეს ოიები იცი?

სან. ყველაფერს შნო უნდა, ჩემო სედრაკ.

სედ. ვა, ვაქრობას შნო უნდა მაშ! შნო თუ არა გაქვს დაკეტე ღუქანი და წადი... ეჰ, მახლას... არა ეს ბოიკოტია თუ რაღაც ჯანდაბა, რაღა ეხლა გამოაცხადეს! ამისთანა ქესატობას ელა უნდოდა!

სან. რას იზამ, სედრაკ, მოსავალია.

სედ. მოსავალი რომელია, კაცო! მოვაქრე კაცმა მუშტარს არაფერი მიჰყილო, მაშ ამდენ ხარჯებს როგორ უნდა გაუძლო. აქ გოროდოვს უნდა ჩააყლაპო, იქ აკალოშნიკს აქამო, იქ პრისტავს ამოუღო! კიდეც ვინ მოსთელის სხვა რამდენი ხარჯები აქვს ღუქანს! თუ არას გავყიდი მაშ პური რითი ვქამო! ეჰ, ძალიან ცუდი დრო დაგვიდგა, სანდრო, ცუდი!.. ეხლა რომ ვაქარმა ფული მიიგოს, გალიცინის ქცვა უნდა მე და ჩემმა ღმერთმა.

სან. სედრაკ, თუ ძმა ხარ, ერთი ღუქანს უყურე. აგერ მივალ მეფეცილესთან და ეხლავე დავბრუნდები.

სედ. (სანდროს) წადი, წადი ძმაო, მე შენ გითხრა მუშტარი თავბირს მამტერევეს, რომ თავი ვერ გავართო. (სანდროს გადის, სედრაკა ჩამოჯდება და ხუნგემის) ეჰ, ცეცხლია, რაღა ცეცხლი ღმერთმანი. როცა პატენტი არა მაქვს ის პიანიცა აქსიზნი არ მიშვებს, რომ რამე გავყილო. პატენტს ავიღებ—ეს ხალხი არ მიშვებს ვივაქრო. არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ უნდა ვიცხოვრო ამ დროებაში! ეხლა ვიცი პოლიცია დამეცემა თავზე, თუ რატომ საქონელს არ ჰყიდიო? რა უნდა უთხრა, აღარ ვიცი! რომელ ერთს გადაურჩე. ან ერთი ამომაყოფინებს თავს ირკუცკი გუბერნიაში, ან არა და მეორე გამისტუმრებს საიქიოს ესტრენი პოეზდით! (გამოჩნდება ილია ლუკინი, უკან მოყვება ბესარიონი კალათით.)

II

იგივე, ილია ლუკინი და ბესარიონი

ილია. გამარჯობა, შენი სედრაკ!

სედ. (შიხედ-მოხედვას და თავისთვის ჯანჯანავს) რა ვქნა ეს ოხერი დალაპარაკებისაც მეშინიან. (ილია ლუკინს) ღმერთმა გადღეგრძელოს!

ილია. სედრაკ, ხორცი მინდა, რიგიანი ნაჭერი გექნება შენახული, შენ ძველი ჯადო ხარ! (იფინის)

სედ. ბევრიც რომ მქონდეს, მაინც ვერ მოგყიდი.

ილია. რათა, რა ამბავია! როგორ ჩემ ფულს დადი არა აქვს!

სედ. რა ვქნა, გოსპოდინ ილიკო, და-

ლიცა აქვს და არაოლიც, ჰამა ჩემი ცოდო რათ გინდა. ცამეტ კაპეკათ ხორცი გავეყილო გირვანქა და იმისთვის თავი მოვაკვლევიო?

ილია. სედრაკ ეგენი რათ გინდა ჩემთან. შენ რიგიანი ხორცი ზომეცი და ათი შაური აილე გირვანქაში.

სედ. (შიხედ-შიხედავს) ჰა, მაიტა ფული რამდენი გინდა?

ილია. აწონე ეგ ნაჭერი სულ რამდენია და წავიღებ. (აძლევეს ოცდა ხუთ მანათიანს. ამ დროს გაშინდება ორი გაფიცულთაგანი მუშა)

I მუშა. კიდეც ცოტა ხანს მედგარი სულიერი განწყობილება და ღიპაძეს გავწყვიტავთ წელში. (მუშები დაინახავენ ილიას და ბესარიონს საყარბოში და უცებ შეჩერდებიან)

II მუშა. (სედრაკაზე უთითებს შირგელს) ჰხედავ მაგ უსინილისო სედრაკას!

I მუშა. უნდა აიღო და იმდენი ურტყა, რომ (მუშები ზიზღით გადაჭხედვენ სედრაკას)

სედრაკა. (დაინახავს მათ და შიშით აკანკალებს, მაგრამ თავს იმედს აძლევეს, არ იბნევა და სტდილობს რეკორტზე გამაჯკეთოს საქმე. ფულს სორტის კუნძზე დაუგდებს ილიას) არ მინდა, ძმაო არ ვყიდი. ძალით ხომ არ წამართმევ! ჩემი საქონელია, შენი ხომ არ არის! ფულს მახარბებ, რა ფულის უნახავი ვარ! (მუშები მიიშალებიან)

